

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და
დამტკიცების პროცედურა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ.
2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე.
3. პროგრამის დამატების ინიცირებას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და საავტორიზაციოდ/საკრედიტაციოდ მომზადების მიზნით, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.
5. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის: ხარისხის მართვის მენეჯერი, დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შესაძლებელია, ჯგუფში შედიოდეს დამსაქმებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა.
6. სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილობასთან ერთად ეფუძნება სასწავლო რესურსების მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკის ობიექტების, საბიბლიოთეკო, ადამიანური, ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი მიმართულებების სხვა მონაცემებს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური/დუალური) შემუშავების საფუძველია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი. შესაძლოა, პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტთან ერთად ითვალისწინებდეს სხვა სამართლებრივ აქტს.
8. კოლეჯმა მიზანშეწონილობის დასაბუთებით შესაძლოა შეიმუშავოს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური/დუალური), რომელთაგან ერთი (დუალური) განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
9. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითად დოკუმენტს (ადაპტირებული ჩარჩო დოკუმენტი) და მის დანართებს;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის მთლიან პაკეტს (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

11. კოლეჯის დირექტორი განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესაბამისი რეკომენდაციებითა და შენიშვნებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უბრუნებს ხარისხის მართვის მენეჯერს შემდგომი რეაგირებისთვის.
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
13. პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა - განისაზღვრება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.